

გლობალური ეკონომიკური კრიზისი და ეკონომიკური მაცნეირება

მიხეილ თოქმაჯიშვილი

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
თბილისის ი. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
თბილისის ღია უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველო
m_tokmazishvili@yahoo.com

საკვანძო სიტყვები: გლობალური ეკონომიკური კრიზისი და ეკონომიკური მაცნეირება

შესავალი

ეკონომიკის თეორიაში ტრადიციული ფუნდამენტური მიმდინარეობების ალტერნატივად განხილვას დღევანდელი რეალობა სულ უფრო მეტად არასაკმარისად მიიჩნევა და ადასტურებს მიწოდებისა და მოთხოვნის ურთიერთდამოკიდებულებაზე აგებული კანონზომიერებების ნაკლოვანებას, მათი ურთიერთობის კომპლექსურ ხასიათს, რომლის ახსნაც ტრადიციულ მიმდინარეობებს სრულად არ შეუძლიათ. მიწოდება ქმნის მოთხოვნას, ხოლო ეს უკანასკნელი კი – მიწოდებას. მათი ორგანული ერთიანობა განმტკიცებულია ფინანსური ბაზრების სწრაფი განვითარებით, რომელიც ვირტუალურად ამყარებს მაკროეკონომიკურ წინასწრობას და ადამიანების რაციონალური და ამასთანავე ირაციონალური ქცევების გზით არღვევს მას. ამ წინააღმდეგობრივ გარემოში ფინანსური კრიზისები და ეკონომიკის რყევების ცვლილებები ობიექტურ კანონზომიერ მოვლენად აღიქმება, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც დამოკიდებულება საფონდო ბირჟებზე და მონეტარულ ბაზრებზე განსაკუთრებით ძლიერია. იგი თავის რყევებს ჯაჭვურად გადასცემს დაბალგანვითარებულ ქვეყნებს, სადაც კვლავ მაღალია მოთხოვნა-მიწოდებაზე დაფუძნებული ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ქცევები. გლობალური კრიზისის შემდეგ ქვეყნები მარადიულ სტაგნაციაში აღმოჩნდა. მსოფლიო ეკონომიკის განვითარება ნელა მიმდინარეობს. ძველი ტრადიციული მონეტარული მეთოდებით – ინფლაციითა და გაცვლით კურსის ცვლილებებით – მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის აღდგენა და მდგრადი განვითარება შეუძლებელი აღმოჩნდა, ხოლო კეინსური მეთოდებით, მიწოდებაზე საბიუჯეტო ინტერვენციებით სტიმულირების ზრდა კი ლიმიტირებული რჩება.

ეკონომიკურ მეცნიერებას დღემდე უფრო მეტად შეეძლო მოვლენების განმარტება, ვიდრე პროგნოზირება. საკითხი ახალი ინდუსტრიული სტრუქტურული რეფორმების შესახებ მხოლოდ ახალ კითხვებს წარმოშობს.

ეკონომიკურ მეცნიერებას ახალი გამოწვევები დღეს სრულიად ახალ ამოცანას უყენებს. ეკონომიკური მეცნიერებისაგან მოითხოვენ ახალი ეკონომიკის შექმნას, რომელიც შეძლებს, ახსნას ყველა მოვლენა, ეკონომიკის წინასწრობის მდგრად უზრუნველყოფისათვის შეიმუშაოს ადეკვატური პრინციპები და ეკონომიკა დაუბრუნოს სახელმწიფოებრივ კონტროლს. ხდება ექსპექტიკური მიდგომების გამოყენება, რომელიც აერთიანებს ისტორიულ, ლოგიკურ, ტექნოლოგიურ, ინსტიტუციურ და სხვ. მიდგომებს. ყველაფერი იწყება თავიდან იმის ახსნით, თუ როგორ მუშაობს

ეკონომიკა და როგორ უნდა მუშაობდეს იგი. ეფექტიანი, გაწონასწორებული ეკონომიკის მოდელი არის დღევანდელი გამოწვევა და ამ მოდელს აქვს თავისი შეზღუდულობები.

თეორიული წინააღმდეგობები

კეინსური თეორია ამოდის იმ ფაქტიდან, რომ ერთობლივი მოთხოვნა განსაზღვრულია გამოშვების დონით. როცა ერთობლივი მოთხოვნა მცირდება, მცირდება გამოშვება და ფასები, სრული დასაქმება მცირდება ასევე და იგი ფასებთან ერთად შეუძლებელია დაუბრუნდეს თავის საწყის დონეს, თუ სახელმწიფო აქტიურად არ განახორციელებს ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის კომბინაციას ფასებისა და სრული დასაქმების აღდგენის მიზნით.

ნეოკლასიკური მაკროეკონომიკა კი სრულად განსხვავებულ პირობას ადგენს. იგი ამოდის ჟ.ბ. სეის კანონიდან, რომლის თანხმად, მიწოდება ქმნის მოთხოვნას და არავინ არ აწარმოებს ისეთ პროდუქტს, რომელზე მოთხოვნა არ შეიძლება ჰქონდეთ ადამიანებს. შესაბამისად ჭარბწარმოება არ არის დამახასიათებელი ასეთი საზოგადოებისათვის. ეს თეორია თავდაპირველად კ. მარქსმა გააკრიტიკა, მას ბავშვური გულუბრყვილობა უწოდა და ჭარბი ზედმეტი ღირებულების თეორია შექმნა.

მარქსის თეორიის თანხმად, საქონელი ფულში გადადის და თუ საქონელი ფულში არ გადაიცვალა, იგი საქონელი არ არის. სეის თეორია კი მხოლოდ ნატურალური გაცვლითი ურთიერთობის პირობებში შეიძლება ყოფილიყო სამართლიანი, ხოლო როდესაც ქვეყანაში ფულის საყოველთაო საქონლის დიქტატურა დადგა, მაშინ ჟ. ბ. სეის კანონი მხოლოდ ბავშვური ბუტბუტი აღმოჩნდა და საბაზრო ეკონომიკის კრიზისებიც რეალობა გახდა. სეის კანონზე დაფუძნებული ნეოკლასიკური ეკონომიკა კი ეკონომიკურ მეცნიერებას ვერ სთავაზობს ეკონომიკური კრიზისებიდან გამოსავალს.

ნეოკლასიკური მაკროეკონომისტები, ისევე, როგორც მათი კლასიკური წინამორბედები, იწყებენ ერთობლივი მიწოდების სრული შესაბამისობით მოთხოვნასთან და დასაქმებასთან. რამდენადაც «მიწოდება ქმნის საკუთარ მოთხოვნას», ამიტომ ერთობლივი მოთხოვნა არ განსაზღვრავს გამოშვებას და საბაზრო უხილავი ხელი ინარჩუნებს სრულ დასაქმებას, ხოლო ფასები განიცდის დეფლაციას (ე.წ. რეალური ბალანსის ეფექტის მეშვეობით), რომელიც ზრდის მოთხოვნას და ამდენად ინარჩუნებს სრულ დასაქმებას.

მნიშვნელოვანი თეორიული და პოლიტიკურ განსხვავ-

ვებებია კეინსა და ნეოკლასიკურ მაკროეკონომისტებს შორის. დღეს ეს დებატები კვლავ აქტუალურია. კეინსელები ყურადღებას ამახვილებენ ბაზრის გაურკვევლობაზე (განსაკუთრებით ინვესტორთა ირაციონალურ გადაწყვეტილებებზე) და ხელისუფლების პოლიტიკის (განსაკუთრებით ფისკალური) მნიშვნელოვან როლზე, ხოლო ნეოკლასიკური მიმდინარეობები ხაზს უსვამს მიწოდებაზე (განსაკუთრებით ხისტიფასების ფაქტორზე და ხელფასებზე) და ბაზარზე სახელმწიფოს ჩაურევლობაზე, თუმცა არ უარყოფენ მონეტარულ პოლიტიკაზე ორიენტირების აუცილებლობას (David Ruccio, 2018: 3-5).

ამ ორ ფუნდამენტალურ მიმდინარეობას შორის არსებობს მსგავსებაც, რამდენადაც ორივე მიმართულება ეკონომიკის დაცემას ეგზოგენურ ფაქტორებს აბრალებს, უარყოფენ ბაზრის არასატაბილურ ბუნებას და წინასწრობას განიხილავენ როგორც ფუნდამენტურ ამოსავალ პუნქტს.

ეს რომ ასე არ არის, იგი 2008 წლის გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა გამოავლინა და საკითხი – შეეძლო თუ არა საბაზრო ავტომატურ სტაბილიზატორებს – ფასებსა და გამოშვებას ეკონომიკის წინასწრობაში მოყვანა, დღეს სერიოზული ეჭვის ქვეშ დგას.

თუ კეინსური თეორია ამოდის არასრული დასაქმებიდან, კლასიკური ეკონომია ემყარება სრულ დასაქმებას და ორივე შემთხვევაში აღიარებულია, რომ მხოლოდ ეგზოგენური ფაქტორები იწვევენ წინასწრობიდან გადახრას. სწორედ ამიტომ 2007-2008 წლის კრიზისების წინასწარმეტყველება გაუძნელდა ეკონომიკურ მეცნიერებას. ამას მრავალი მეცნიერი ადასტურებს. ზოგიერთს კი მიაჩნია, რომ მე-20 საუკუნეში რეცესიას და დეპრესიას 18-ჯერ ჰქონდა ადგილი და ენდოგენურად მისი ახსნა ამ თეორიებმა ვერ შეძლეს ((David Ruccio, 2018: 3-5). დაშვება იმისა, რომ საბაზრო ეკონომიკას შეუძლია სრული დასაქმების უზრუნველყოფა, აღმოჩნდა უტოპია ((David Ruccio, 2018: 3-5).

საეჭვოდ ჟღერს არგუმენტი, როლმის თანახმად, პოლიტიკოსების ჩარევა და არასწორი პოლიტიკა განსაზღვრავს წინასწრობის წერტილიდან გადახრებს და მხოლოდ რაციონალური პოლიტიკის საფუძველზე არის შესაძლებელი ეკონომიკური კრიზისების თავიდან აცილება.

დღეს საკმაოდ პოპულარული გახდა ფინანსურ არასტაბილურობაზე მსჯელობა. ამის შესახებ ზოგიერთი მკვლევარი აღნიშნავდა, რომ სტაბილურობა არის არასტაბილურობა (Minsky, 2014). ასეთი ლოგიკით იგი დაეფუძნა ჰეგელის ლოგიკაზე დამყარებულ მარქსისტულ მეთოდოლოგიას, რომელიც დაპირისპირებული მხარეების ერთიანობას, იგივეობისა და განსხვავების, უარყოფის ურყოფის კანონზომიერებებს ასახავს. მაგალითად, ფული საქონელია, მაგრამ არც არის საქონელი. ღირებულება იგივე ფასია, მაგრამ არ არის ფასი. ხელფასი შრომის ანაზღაურებაა, მაგრამ არ არის შრომით შექმნილი ღირებულების ტოლფასი და ა.შ.

წინასწრობის მოდელი, რომელიც საბაზრო ეკონომიკის ფუნდამენტურ სტაბილურობას გამოხატავს, არის პრობლემა. ზოგიერთი ეკონომიკური კრიზისი, უეცარი

ზრდა და დაცემა არის ეგზოგენური ფაქტორების, ნავთობის ფასის, ომების ან ინტერნეტის და სხვ. გეგავლენის შედეგად წარმოქმნილი. ამის საწინააღმდეგოდ მინსკი წერს, რომ საბაზრო სისტემა მოიცავს შოკებს შინაგანად და ყოველი სტაბილური წინასწრობა შინაგანად ამზადებს მომავალ კრიზისებს (Minsky, 2014).

კ, მარქსის თეორია კაპიტალიზმის კრიზისულ განვითარებას წინასწარმეტყველებდა, რომელიც ამოდიოდა იმ გარემოებიდან, რომ არ არსებობდა წინასწრობა შრომით შექმნილ ღირებულებასა და ანაზღაურებას შორის. დღევანდელი ვითარება კი მეტყველებს იმაზე, რომ წარმოებულ ღირებულებასა და მოხმარებულ პროდუქტს შორის თანაფარდობა დროში არის განსხვავებული. მოხმარება წინ უსწრებს შექმნილ ღირებულებას. მოხმარებელს ვალის მეშვეობით შეუძლია ჯერ მოხმაროს პროდუქტი, და შემდეგ აწარმოოს მისი ტოლფასი ღირებულება. საფონდო ბირჟებზე კი დივიდენდები და აქციების მზარდი ფასები მნიშვნელოვნად აჭარბებს წარმოების ზრდის ტემპებს. ამდენად მოთხოვნა-მიწოდების წინასწრობა ქრონიკულად არაწინასწორულ მდგომარეობაში ექცევა, რის შედეგადაც ფულის და ვირტუალური ფულის მასის წინმსწრები ტემპი გამოშვებასთან შედარებით სულ უფრო იზრდება და რაოდენობრივი ზრდის შედეგად თვისებრივ მდგომარეობა იცვლება კრიზისებით.

საკითხი რეგულაციებიდან დერეგულაციებისაკენ და უკან გახდა ერთ-ერთი კამათის საგანი. კარგი პოლიტიკა კვლავ გაურკვეველი დარჩა, რამდენადაც ფუნდამენტური თეორია უკვე პასუხს ვერ იძლევა არსებული ვითარების ახსნაზე, ხოლო ეკონომიკური ჩავარდნების მიზეზების პოლიტიკაზე გადაბრალება მხოლოდ პოლიტიკურ დატვირთვას აძლევს ეკონომიკურ მეცნიერებას.

ეკონომიკურ მეცნიერებაში ყურადღება თანდათან მაკროეკონომიკის მიკროეკონომიკურ ფუნდამენტურ პრინციპების მიხედვით ანალიზზე, ნეოკლასიკურ სინთეზზე და ფსიქოლოგიურ ასპექტებზე გადავიდა.

ფასები და გამოშვება და მოხმარებელთა მოლოდინები და ქცევები ერთმანეთს უპირისპირდება, რის შედეგადაც კიდევ უფრო რთულდება ეკონომიკის წინასწრობის და სტაბილური განვითარების ხელისშემშლელი ფუნდამენტური მიზეზების და მისი სტაბილიზატორების განმარტებები.

მსოფლიო ფინანსური კრიზისთან ერთად აკადემიურ წრეებში და საზოგადოებრივ დებატებში ინტენსიურად დაიწყო ფუნდამენტური თეორიების კრიტიკა, რომელიც მანამდე შეზღუდული იყო. გამოვლინდა ეკონომიკური თეორიის ხელოვნური, უაზრო ან არარეალისტური ხასიათი, რამდენადაც თეორია ეკონომიკური რეალობისგან განსხვავებული აღმოჩნდა (Sebastian Thieme, 2018: 1). მეცნიერები აღიარებენ, რომ რამდენადაც ეკონომიკურმა თეორიამ და მაკროეკონომიკამ ვერ შეძლო გლობალური კრიზისის წინასწარმეტყველება, ამდენად იგი აღმოჩნდა კრიზისში და ჰეტეროდოქსული, ფუნდამენტური თეორიების ალტერნატივა გახდა შესაქმნელი. საჭირო იყო ღირებულებების, ინსტიტუტების და პოლიტიკის კომბინაცია, რომელიც ნეოლიბერალიზმის ტიპური იქნებოდა (Bogusław, 2013: 8).

დაიწყო მსჯელობები ახალი ინსტიტუციური წესრიგის, გლობალური ბალანსის შესახებ, რომელიც გააერთიანებდა, ეკონომიკის, პოლიტიკის, სოციალური და გარემოს დაცვით ასპექტებს. ამასთან, იმისათვის, რომ გაიზარდოს ეკონომიკური თეორიის წინასწარგანჭვრეტითი და ახსნითი ფუნქცია, დაისვა რეკომენდაციები, რომლის თანახმად, უფრო მეტად გამოყენებული ყოფილიყო ჰეტეროდოქსული მიდგომები, რომელიც ფინანსური ბაზრის ქცევებისა და მაკროეკონომიკური ეფექტების ერთობლიობას განასახიერებდა (Przesławska, 2016:134-136).

მკვლევარები აღიარებენ, რომ ეკონომიკური თეორია, განსაკუთრებით „ჰეტეროდოქსული ეკონომიკა“, ფუნდამენტური თეორიის (ნეოკლასიკური და კეინსური-თეორიების), იგივე ორთოდოქსული ნეოკლასიკური ეკონომიკის, საწინააღმდეგო მიმდინარეობაა. იგი, ნაცვლად ნეოკლასიკოსებისათვის დამახასიათებელი ინდივიდის რაციონალური ქცევებისა და საბაზრო წინასწარობის, როგორც კვლევის ამოსავალი პუნქტისა, ამოდის ინსტიტუტებისა და სოციალური სტრუქტურების მნიშვნელობიდან და ინსტიტუციური პოსტკეინსური (და არა ახალი კეინსური) ანარქისტული, სოციალისტური, მარქსისტული, ფემინისტური და სხვ. ეკონომიკების პლურალიზმიდან. ეს მეცნიერები გახდნენ ოქრთოდოქსული ეკონომიკის კრიტიკოსები. მათი მიდგომით, ყოველ ეკონომიკას აქვს თავისი სტილი და გამომდინარეობს კულტურული და სოციალური განვითარების ისტორიული პროცესებიდან, იმ როლიდან, რაც ბაზარს, სახელმწიფოს და არასაბაზრო ინსტიტუტებს აქვთ სოციალურ ურთიერთობებში. თუმცა მისი კრიტიკოსები აღიარებენ, რომ ეს თეორია ახსნის მოვლენებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი დაუახლოვდება ფუნდამენტურ თეორიას (Lee, 2012: 340).

საინტერესოა, რომ მრავალ ქვეყანაში დაიწყო მოძრაობა ეკონომიკური პლურალიზმის დასანერგად ეკონომიკაში. ამის მაგალითია საერთაშორისო სტუდენტების მოძრაობა მას შემდეგ, რაც მსოფლიო გაეხვია გლობალურ კრიზისებში, მსოფლიოს სტუდენტთა 65 ასოციაციამ 30 ქვეყნიდან, გამოაქვეყნა ღია წერილი, რომელიც მოითხოვდა დებატების დანერგვას და პლურალისტური მიდგომის უზრუნველყოფას უნივერსიტეტებში¹.

ეკონომიკის თეორიული პარადოქსები

ეკონომიკურ მეცნიერებაში არსებული მოვლენის ახსნა მრავალ პარადოქსს ეფუძნება. ისინი შეიძლება სამ ჯგუფად გავაერთიანოთ: 1. მაკროეკონომიკური ხასიათის პარადოქსები; 2. ქცევითი ხასიათის პარადოქსები და 3. საგარეო ფაქტორებზე (ეგზოგენურ პირობებზე) დამოკიდებული პარადოქსები.

კლასიკურ მაკროეკონომიკურ პარადოქსს მიეკუთვნება ღირებულების პარადოქსი, რომელიც ცნობილია როგორც ალმასის და წყლის პარადოქსი და გამოხატავს

ღირებულების აღიარების წინააღმდეგობებს: წყალი უფრო მეტად სასიცოცხლოდ სასარგებლოა ადამიანისთვის, ვიდრე ბრილიანტები, მაგრამ ალმასებს ბაზარზე უფრო მაღალი ფასი ადევს. ამ პარადოქსის ახსნას ცდილობდნენ ადამ სმიტი, პლატონი, ჯონ ლოკი, და სხვ. ამ პარადოქსის ასახსნელად ადამ სმიტმა განასხვავა საცვლელი ღირებულება და სახმარი ღირებულება და აღნიშნა, რომ შესაძლებელია საგანს ჰქონდეს მაღალი სახმარი ღირებულება, მაგრამ მისი საცვლელი ფასი იყოს დაბალი და პირიქით (Smith Adam). ეს პარადოქსი სმიტმა გადაჭრა იმით, რომ საქონლის ფასი განსაზღვრა შრომისა და ფულის, როგორც წარმოების ფაქტორების დისპროპორციით და არა მომხმარებლის შეხედულებით. შემდგომში ეს თეორია მარუინალიზმმა ზღრულ სარგებლიანობას დაუკავშირა და შენიშნა, რომ საქონლის რაოდენობის ზრდასთან ერთად მცირდება მისი სარგებლიანობა.

თუმცა ღირებულება ყოველთვის არ იყიდება და მას არ აქვს გაცვლითი ფორმა. ამას ადასტურებს ე.წ. კენეტ ეროუს პარადოქსი (Arrow information paradox), რომლის თანახმად, როდესაც მეწარმე უხსნის მომხმარებელს საქონლის ტექნოლოგიას, იგი ვადასცემს მას ინფორმაციულ ღირებულებას, რომელიც არ იცვლება და არ არის კომპენსირებული ფულით (Arrow, 1962: 615). ამას ამტკიცებს სტიგლიცის ასიმეტრიული ინფორმაციის თეორიაც.

ამდენად უნდა ვივარაუდოთ, რომ გაცვლა არ არის მონეტარული ღირებულების გამოვლენის ფორმა. ამის შესაბამისად ღირებულება უფრო მეტია, ვიდრე ფულის ის რაოდენობა, რომელიც მას ასახავს.

ამ პარადოქსის განვითარებაა გიბსონის ცნობილი პარადოქსი, რომლის თანახმად, საპროცენტო განაკვეთი და ფასების დონე პოზიტიურ კორელაციაში არიან ერთმანეთთან (Alasdair Macleod, 2017). მის საწინააღმდეგოდ კეინსი ლიკვიდურობის თეორიაში ამტკიცებდა, რომ სპეკულაციური მოთხოვნის პირობებში მათ შორის არსებობს ნეგატიური დამოკიდებულება და რაც უფრო მაღალია საპროცენტო განაკვეთი, მით უფრო დაბალია სპეკულაციური მოთხოვნა ფულზე და პირიქით (Prateek Agarwal, 2018).

ფულის რაოდენობრივი თეორიის თანახმად, ფულის დაბალი ზრდა იწვევს ფასების ნელ ზრდას, მაგრამ ფულის დაბალი მიწოდება ნელა ზრდის სასესხო კაპიტალს და საპროცენტო განაკვეთს. თუ ეს დებულება მართალია, მაშინ ფულის დაბალი მიწოდება უნდა იწვევდეს ფასების შემცირებას და საპროცენტო განაკვეთის ზრდას. დებრესის პერიოდში ფასები მცირდება, ხოლო საპროცენტო განაკვეთები კი იგივე რჩება.

კეინსი ამტკიცებდა, რომ საპროცენტო განაკვეთი დაკავშირებულია საერთო ფასებთან და არა ინფლაციასთან, ხოლო დღეს არავინ უარყოფს, რომ ეს განაკვეთი კორელაციურ დამოკიდებულებაშია ინფლაციასთან. ყოველივე აქედან გამომდინარე, ფულის მასა და ფასები ერთმანეთთან მიზეზ-შედეგობრივ კავშირშია, მაგრამ ფულის ღირებულება, რომელიც საპროცენტო განაკვეთით გამოიხატება და ფასები, რომელიც ფულშია გამოსახული, შესაძლებელია ერთმანეთის საპირისპირო მოვლენებს ასახავდეს.

¹ An international student call for pluralism in economics, <http://www.isipe.net/open-letter/>

ეს დაპირისპირება კიდევ უფრო გამოვლინდა ჯეჟონის პარადოქსში, რომლის თანახმად, ტექნოლოგიების ზრდასთან ერთად ეკონომიკის ზრდა კიდევ უფრო მეტად აძლიერებს რესურსების გამოყენებაზე მოთხოვნას (Bauer, Diana; Papp, Kathryn, 2009). თუ გარემოს ეკონომიკისათვის დამახასიათებელ ამ კანონზომიერებას მაკროეკონომიკურ ასპექტში გადავიტანთ, მაშინ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ეფექტიანობის ზრდასთან ერთად იზრდება ეკონომიკა, ხოლო მის რესურსებზე კი მოთხოვნა კიდევ უფრო სწრაფად. ამის ილუსტრაციაა ის, რომ თითქმის ყველა ქვეყანაში ფულის, როგორც წარმოების სტიმულის რესურსების ზრდის ტემპი წინ უსწრებს ეკონომიკის ზრდის ტემპს. (იხ გრაფიკი 1).


ამას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ თანამედროვე პერიოდში სულ უფრო იზრდება უკონტროლო ელექტრონული ფულის (კრიპტოვალუტების) გამოცემა, და მათზე მოთხოვნა, რაც მომავალში ეკონომიკასთან მიმართებაში როგორც რეალური, ასევე ვირტუალური ფულის ტემპების უპირატეს ზრდაში აისახება. ეს კი სხვა არაფერია, თუ არა იმის მტკიცება, რომ ფულის ღირებულება მნიშვნელოვნად გადაიხარა საქონლისა და მომსახურებების ღირებულებების ზრდისაგან, რაც გამოვლინდა კიდევ 2009 წლის გლობალურ კრიზისში.

მაკროეკონომიკურ მეცნიერებაში წინააღმდეგობრივი მსჯელობები განსაკუთრებით დამახასიათებელია კეინსის დანაზოგების თეორიასთან მიმართებაში. დაზოგვის პარადოქსის თანახმად, შავი დღისთვის დანაზოგის ზრდა იწვევს

საერთო მოთხოვნის შემცირებას. ამით მცირდება მთლიანი გამოშვება, რაც, თავის მხრივ, ამცირებს ეკონომიკას. ანუ რაც მეტად ისწრაფვი განვითარებისაკენ მით უფრო ნაკლებად ვითარდები. ზრდა ეკონომიკურად საზიანოა. რეცესიის დროს დანაზოგების გაკეთება ამცირებს მოთხოვნას და იგი, თავის მხრივ, შეამცირებს დანაზოგებს. იგი დაკავშირებულია შემდეგ წინააღმდეგობრივ ქმედებებთან: ა/. დანაზოგების ზრდა მიმართულია არა დანაზოგების შექმნისაკენ, არამედ ვალების გადახდისკენ. ბ/. რეცესიის დროს დასაქმება მცირდება და ხელფასიც მცირდება. - ეს იწვევს დასაქმების სურვილის შემცირებას. რეცესიის დროს დასაქმება ამცირებს ხელფასებს, ამცირებს ფასებს და იწვევს დეფლაციური მოლოდინის გაჩენას, რაც, თავის მხრივ, აძლიერებს დანაზოგების გაკეთების სურვილს, ამცირებს მოთხოვნას და დასაქმებას; გ/. ხელფასისა და ფასების მოქნილობა ხელს არ უწყობს რეცესიებისგან გამოსვლას ლიკვიდურობის ხაფანგის დროს, არამედ მას რეალურად ამწვავებს. ლიკვიდურობის ხაფანგის (სარგებლის განაკვეთის შემცირების დროს უპირატესობა ეძლევა ნაღდ ფულის გამოტანას) პირობებში დასაქმება და ხელფასების მოქნილობა ვალის დეფლაციის შოკის დროს (დეფლაცია და ვალი ორივე იზრდება) იწვევს ხელფასების და დასაქმების შემცირებას.

ეს ცალკეული შემთხვევები ადასტურებენ იმას, რომ ეკონომიკის კვლევა არ შეიძლება ერთაზროვანი იყოს და მას მრავალი ასპექტი გააჩნია, რომელთა ერთ ლოგიკურ

გრაფიკი 1



წყარო: მსოფლიოს ბანკის მონაცემთა ბაზა, <https://data.worldbank.org/indicator/FM.LBL.BMNY.GD.ZS?view=chart>

სისტემაში „დალაგების“ დეფიციტს დღეს უკვე მტკივნეულად განიცდის მთელი ეკონომიკური მეცნიერება.

რაციონალური ქცევების პარადოქსები ფართოდ არის ცნობილი და იგი მრავალ კითხვას ქმნის ეკონომიკური პრობლემების შესწავლისას. ჯერ კიდევ მე-15 საუკუნეში მეცნიერები აღნიშნავდნენ ნებასა და ქმედებას შორის განსხვავებას. ფრანგი ფილოსოფოსი ბურიდიანი (Buridan) შენიშნავდა, რომ ვირი არის თავისუფალი ნების პარადოქსი. ეს ეხება ჰიპოთეზურ სიტუაციას, სადაც ვირი, რომელიც თანაბრად მშიერი და მწყურვალაა, მდებარეობს ზუსტად თივისა და წყალს შორის შუა ნაწილში. ამ პარადოქსის მიხედვით, ვირი მიუახლოვდება იმას, რომელიც უფრო ახლოა, მაგრამ ვერ აკეთებს არჩევანს და შიმშილითა და წყურვილით კვდება, რადგან მას არ შეუძლია რაციონალური გადაწყვეტილება მიიღოს და აირჩიოს თივა თუ წყალი.

დღეს არჩევანთან დაკავშირებით სხვა თეორიები გვეუბნება, რომ რეალურად სუბიექტების არჩევანისათვის ქმედება ყოველთვის განსხვავდება მათი მიერ სარგებლის მოლოდინის აღქმისაგან. ადამიანები ერთს აკეთებენ და მეორეს მოელონ.²

რაციონალური არჩევანის თეორია აღიარებს, რომ, მართალია ბაზრის სუბიექტებს აქვთ სრული ინფორმაცია, მაგრამ იძულებულნი არიან მიიღონ ირაციონალური გადაწყვეტილებები. ამის მაგალითია საფონდო ბირჟებზე აუქციონის პროცესი. აუქციონზე ყოველი შემდგომი ბიჯი არის ფონდზე მოთამაშის დანაკარგი.

დღევანდელი საფონდო ბირჟებზე მოლოდინები ქმნიან პარადოქსულ სიტუაციას, როდესაც ადამიანს შეუძლია გადაწყვეტილებების მიღება არა იმისა, რაც მათ სურთ, რომ რეალურად გააკეთონ, არამედ იმაზე ფიქრობენ, სხვა ადამიანებს რისი გაკეთება სურთ, რის შედეგადაც ყველა გადაწყვეტს გააკეთოს ის, რისი გაკეთება არავის არ სურდა, თუმცა ფიქრობდნენ და ეგონათ, რომ ყველას სურდა მისი გაკეთება.³

საერთოდ კი ადამიანები დგებიან მრავალგანზომილებიანი არჩევანის წინაშე და ისინი ეძებენ ალტერნატივას და საუკეთესო არჩევანს გააკეთებენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წინასწარ იციან, რომ ეს საუკეთესო არჩევანია. შესაბამისად მის წინაშე საუკეთესოს არჩევანის პრობლემა, რომელსაც ვერ წყვეტს იმის გამო, რომ აპრიორულად მისი ამოცნობა არ შეუძლია.⁴ ქვევითი წინააღმდეგობების შედეგად, საბაზრო ინსტიტუტები წარმატებების შემდეგ განიცდიან დაცემას იმ ფაქტორების შედეგად, რომლებმაც მათ წარმატება მოუტანა.

საერთოდ, მაკროეკონომიკურად, დინამიური განვითარების შენარჩუნება წინააღმდეგობრივია და განუხრელი ზრდა კი შეუძლებელი. ციკლები გარდუვალაა.

საგარეო ურთიერთობებში მაკროეკონომიკური ასპექ-

ტები ქვეყნების ერთობლივ ქცევებთან არის დაკავშირებული. ეკონომიკის ერთ-ერთი კლასიკური წინააღმდეგობა გამოხატავს ცალკეული სახელმწიფოს ისეთ კონკურენტულ ქცევებს, რომელსაც მათთვის სარგებელი მოაქვს, მაგრამ ყველა დანარჩენი ქვეყნის მდგომარეობა გაუარესდება იმ შემთხვევაში, თუ იგივე ქცევებს გაიმეორებს, რაც წარმატებულ ქვეყანას ახასიათებს.

საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებში ყველა ქვეყნის ეკონომიკის განვითარება დამოკიდებული ხდება იმ ქვეყნის განვითარებაზე, რომელიც განსაზღვრავს განვითარების მიმართულებას. თუმცა ქვეყნები ყოველთვის დგანან დილემის წინაშე: კონკურენცია თუ თანამშრომლობა და პარტნიორობა? საგარეო ვაჭრობაში ქვეყნების ცდა დაიცვას ადგილობრივი წარმოება და შემოიღოს ანტიმონოპოლიური წესრიგი უფრო მეტად სარგებლიანია უცხო ქვეყნის მომხმარებლისათვის, ვიდრე იგი იცავს ადგილობრივ მწარმოებლებს. ეს წინააღმდეგობრივი ქმედებები ყოველთვის წარმოშობს ალტერნატივებს, მაგალითად, ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობა პოზიტიურად იმოქმედებს თუ არა საქართველოს საგადასახდელო ბალანზე.

მთლიანობაში, ეს წინააღმდეგობრივი ეკონომიკური ქმედებები, რომელსაც ეკონომიკური მეცნიერება ორაზროვან პასუხს სცემს, საბოლოოდ პოლიტიკური გადაწყვეტილების საგანი ხდება და ამდენად ეკონომიკაზე პოლიტიკის პრიმატი ხორციელდება.

დასკვნა

ამდენად შეიძლება ითქვას, რომ დღეს არ არის შექმნილი მაკროეკონომიკური განვითარების ამსახველი თეორია, რომელიც გასცემს ლოგიკურ პასუხს ეკონომიკის წინასწორული და სტაბილური განვითარების შესახებ. ეკონომიკურ მეცნიერებას აქვს მრავალფეროვანი განმარტებები იმის შესახებ, თუ რა კანონზომიერებები არღვევენ ეკონომიკურ სტაბილურობასა და წინასწორობას. ყველა მათგანი არასრულფასოვანია.

გლობალურმა კრიზისებმა სრულიად ახალი ასპექტით დააყენა საკითხი ეკონომიკური თეორიის განვითარების შესახებ. არსებული მაკროეკონომიკური ფუნდამენტური თეორიები არასაკმარისია თანამედროვე მოვლენების ასახვას და ეკონომიკის ციკლური განვითარების წინასწარმეტყველებისათვის. დაიწყო ეკონომიკური პლურალიზმის თეორიების დანერგვა, მათ შორის უნივერსიტეტების სასწავლო პროცესშიც, ხოლო ეკონომიკური მეცნიერების განვითარება კი მოითხოვს ფუნდამენტურ მიდგომებთან ერთად ნეოლიბერალური მიმართულების, ინსტიტუციური მიდგომების განვითარებას და მაკროეკონომიკური მოვლენების ახსნას არა კეინსური და კლასიკური მიმდინარეობების საფუძველზე, არამედ ინსტიტუციური, ქვევითი, ფსიქოლოგიური, პოლიტიკური, სოციალური და სხვ კონტექტების კომბინაციით, რაც ეკონომიკურ მეცნიერებას ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს. იგი საუნივერსიტეტო სწავლებაშიც უნდა აისახოს.

² მაურეკ ალაის, 1988 წლის ნობელის პრემიის ლაურეატის, თეორია (Maurice Félix Charles Allais paradox).

³ აბილინის (Abilene) თეორია.

⁴ მრავალგანზომილებიანი გადაწყვეტილებების თეორია (multi-criteria decision analysis (MCDA) / multi-criteria decision making (MCDM)).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Adam Smith, Of the Origin and Use of Money. Adask, s law, <https://adask.wordpress.com/2013/02/23/adam-smith-the-origin-and-use-of-money/>
2. Alasdair Macleod, Further Thoughts on Gibson’s Paradox, Economics, The Cobden Center, 14 September, 2017, <https://www.cobdencentre.org/2017/09/further-thoughts-on-gibsons-paradox/>
3. An international student call for pluralism in economics, <http://www.isipe.net/open-letter/>
4. Arrow, K. 1962. “Economic welfare and the allocation of resources for inventions.” In *The Rate and Direction of Inventive Activity: Economic and Social Factors*, ed. R. R. Nelson, pp. 615, Princeton: Princeton University Press. URL: <http://www.nber.org/books/univ62-1>, <http://www.nber.org/chapters/c2144.pdf>
5. Bauer, Diana; Papp, Kathryn «Book Review Perspectives: The Jevons Paradox and the Myth of Resource Efficiency Improvements». *Sustainability: Science, Practice, & Policy*. 5 (1). March 18, 2009. Archived from the original on 29 May 2015. https://web.archive.org/web/20150529111127/http://sspp.proquest.com/static_content/vol5iss1/book.polimeni-print.html
6. Bogusław F., The Economic Crisis Versus the Crisis of economics as a Science, *Ekonomika*, 2013 Vol. 92(4), p.8. <http://www.zurnalai.vu.lt/ekonomika/article/viewFile/2349/1572>
7. David Ruccio, Utopia and Macroeconomics, *World Economics Association*, April 2018, pp.3-5, <https://www.worldeconomicsassociation.org/newsletterarticles/utopia-and-macro/>
8. Lee, F. S. ‘Heterodox Economics and its Critics.’ *Review of Political Economy*, vol. 24, no. 2, 2012, p. 340. <https://ideas.repec.org/a/taf/revpoe/v24y2012i2p337-351.html>
9. Minsky, H. Marx and modern mainstream macroeconomics, *Occasional Links & Commentary*, on economics, culture and society, 24 March 2014, <https://anticap.wordpress.com/2014/03/24/minsky-marx-and-modern-mainstream-macroeconomics/>
10. Przesławska G., Rethinking economics in response to current crisis phenomena, „*Ekonomia i Prawo. Economics and Law*”, Polszakiewicz B., Boehlke J. (ed.), Vol. 15, No. 1/2016, pp. 134-135. DOI: <http://dx.doi.org/10.12775/EiP.2016.008>. https://www.researchgate.net/publication/301675385_Rethinking_economics_in_response_to_current_crisis_phenomena,
11. Prateek Agarwal, Liquidity Preference Theory, *Intelligent Economist*, 14 February 2018, <https://www.intelligenteconomist.com/liquidity-preference-theory/>
12. Sebastian Thieme, Spiethoff’s Economic Styles: a Pluralistic Approach? *Economic Thought*, Vol 7, No 1, 2018, p. 1, <http://et.worldeconomicsassociation.org/papers/spiethoffs-economic-styles-a-pluralistic-approach/>

THE GLOBAL ECONOMIC CRISIS AND ECONOMIC SCIENCE

MIKHEIL TOKMAZISHVILI

Doctor of Economics,

Professor of Tbilisi Open University

Associate Professor of Ivane Javakishvili Tbilisi State University, Georgia

m_tokmazishvili@yahoo.com

KEYWORDS: GLOBAL ECONOMIC CRISIS, ECONOMIC SCIENCE

SUMMARY

Considering the traditional fundamental process as an alternative of economic theory is increasingly insufficient in today's reality; deficiencies of the supply and demand interconnections, as well as the complex character of their relationship that cannot be fully explained by traditional mainstreaming that is confirmed.

In the aftermath of the global crisis, countries have been occurred in an eternal stagnation. The development of world economy progresses slowly. The restoration of macroeconomic stabilization and sustainable development by the old traditional monetary methods - inflation and exchange rate changes - were impossible, while by Keynesian methods the increase in stimulation of budget interventions on the supply remains limited.

Economic science has been able to explain events far more than to predict the future. The issue of new industrial structural reforms only brings new questions.

Today new challenges impose new tasks to economic science. Academic approaches are being used that combines historical, logical, technological, institutional, and other methodologies. Everything starts with explaining how the economy is working and how it should work. The model of economy that is efficient and balanced is a current challenge and this model has its own limitations.

Introducing pluralist theories has begun, including at the universities. Development of economic science requires fundamental approach together with promoting neo-liberal course and institutional approaches, as well as explaining macro-economic events not based on Keynesian and classic methodologies, but based on combination of institutional, behavior, psychological, political, social and other sciences. It gives rise to new challenges for economics. It should also be reflected in university studies.